

თემისტოსი

თავისი დროისათვის ცნობილი წარმართი ფილოსოფოსი და ორატორი თემისტოსი 317 წელს დაიბადა პაფლაგონიის ქალაქ აბონუტიეიქოსში, რომელსაც შემდეგში იონოპოლისი ეწოდა, საშუალო შექლების ოჯახში. მამამისი ევგენიოსი თავდაპირველად მიწათმოქმედებას მისდევდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ფილოსოფიით ყოფილიყო გატაცებული. განსაკუთრებულ პატივს არისტოტელეს მიაგებდა. შემდეგში ევგენიოსი სამუშაოდ კონსტანტინეპოლში გადავიდა, სადაც ფილოსოფიას ასწავლიდა. განათლების იმდროინდელი პროგრამის მიხედვით, თემისტოსმა გრამატიკა, რიტორიკა და ფილოსოფია შეისწავლა; გრამატიკა – ჰიეროკლესთან, რიტორიკა – პონტოს ნაპირას მდებარე ქალაქში, ხოლო ფილოსოფია – მამასთან. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მცირე აზიის ქალაქებში მოღვაწეობდა და როტორიკასა და ფილოსოფიას ასწავლიდა. 25 წლისა იყო, როცა წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვა – პანეგირიკი, რომელშიც ხოტბა იმპერატორ კონსტანტინის შეასხა. იმპერატორს სიტყვა იმდენად მოეწონა, რომ იგი საიმპერატორო კარის ოფიციალურ ორატორად დანიშნა. მართალია, თემისტოსი წარმართად ითვლებოდა, მაგრამ არა იმდენად რელიგიური აღმსარებლობის, რამდენადაც წარმართული ფილოსოფიის ერთგულების გამო. სარწმუნოებას, წარმართობა იქნებოდა ის თუ ქრისტიანობა, თემისტოსი უმაღლეს სიბრძნეზე – ფილოსოფიაზე არა მხოლოდ დაბლა აყენებდა, არამედ მისგან სრულიად განშორებულად წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ მშვენივრად ეწყობოდა ქრისტიან იმპერატორებს (იოვიანე, თეოდოსი დიდი), არამედ უფრო უკეთესი ურთიერთობაც კი ჰქონდა მათთან, ვიდრე წარმართობის თავგამოდებულ დამცველ იულიანესთან. ორატორის რელიგიასთან

გულგრილი დამოკიდებულება იყო მიზეზი იმისა, რომ ყველა იმპერატორი, რომელთა დროსაც მას მოღვაწეობა მოუხდა, მიუხედავად აღმსარებლობისა, მისდამი კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა. 355 წელს არიოზელმა იმპერატორმა კონსტანციმ იგი სენატორად დანიშნა, ხოლო 358-359 წლებში – პროკონსულად; სახელმწიფოებრივი თანამდებობა ჰქონდა თემისტიოსს ასევე არიოზის მიმდევარი კეისრის, ვალენტის დროსაც (377/378 წწ. ელჩად იყო რომში); რაც შეეხება ქრისტიან იმპერატორ თეოდოსი დიდს, მან ორატორს კონსტანტინეპოლის პრეფექტობა უბოძა და თავისი ვაჟის, არკადიუსის აღმზრდელად მიიწვია.

თემისტიოსის 35 სიტყვიდან ჩვენამდე 32-მა მოაღწია. ფილოსოფიის მოყვარული ორატორი უპირატესობას რაციონალურ მჭევრმეტყველებას ანიჭებდა. ამიტომაც არ მოსწონდა იმპროვიზირებულად წარმოთქმული სიტყვები და მკაცრად აკრიტიკებდა სიტყვას, რომელიც შერჩეულ თემასა და თუ მოვლენას ზედაპირულად ეხებოდა და მის სიღრმისეულ ანალიზს არ წარმოადგენდა („მათ წინააღმდეგ, ვინც შესაძლებლად თვლის სიტყვის წარმოთქმას მომზადების გარეშე“). თემისტიოსმა „შეაერთა ფილოსოფია რიტორიკასთან“.¹ აქედან გამომდინარე, მისი სიტყვები უფრო ფილოსოფიურია ვიდრე ლიბანიოსისა, სამაგიეროდ, ლიბანიოსთან შედარებით, რიტორიკის თემატიკა მასთან უფრო ვიწროა და შეზღუდული, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ თემისტიოსის სიტყვების ნახევარზე მეტი იმპერატორებისადმი მიძღვნილი და მათ ხოტბა-შესხმას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ამ პანეგირიკებში მოცემულია ავტორის შეხედულება სახელმწიფოს მოწყობაზე, მისი მართვის ხელოვნებაზე და წარმოდგენილია იდეალი უმაღლესი ხელისუფალისა, არ შეიძლება თემისტიოსს მლიქვნელობა და

¹ Puech A., Histoire de la littérature grecque chrétienne, P. 1930, t. III, გვ. 15.

მაამებლობა დავწამოთ. ფილოსოფიაში არისტოტელეს მიმდევარი, ორატორულ ხელოვნებაშიც მას მიიჩნევდა მასწავლებლად, კერძოდ, იგი მიმდევარია არისტოტელესეული ე. წ. „ფსიქოლოგიური რიტორიკისა“, რომელიც მსმენელს საშუალებას აძლევს თავად ამოიცნოს პიროვნება, რომელსაც ორატორის სიტყვა ეხება. ბუნებრივია, ეს ორატორისაგან როგორც ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას, ასევე დიდ ოსტატობასაც მოითხოვს, რადგან მან არა მხოლოდ უნდა ამოიცნოს პიროვნების ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, არამედ სიტყვის საშუალებით მისი ხასიათი – სულიერი პროტრეტი ისე ზუსტად უნდა დახატოს, რომ მსმენელი მიხვდეს ვისზეა საუბარი.

რამდენიმე სიტყვა მიუძღვნა თემისტოსმა თავად რიტორიკულ ხელოვნებას. მას სიტყვა იარაღის ყველაზე გამოსაყენებელ სახედ მიაჩნდა, უფრო მტკიცე მასალად, ვიდრე რკინაა.² ამასთან, სჯეროდა, რომ ეს იარაღი სერიოზული პრობლემებისა და იდეოლოგიის შესაბამისი ფორმით გადმოსაცემად უნდა იქნეს გამოყენებული („მსჯელობა სიტყვის შესახებ“).

მსგავსად ლიბანიოსისა, თემისტოსსაც სჯეროდა, რომ ორატორი მრჩეველი უნდა იყოს როგორც ხელისუფლებისა, ასევე საზოგადოებისა და მათზე კეთილისმყოფელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს. მაგრამ ლიბანიოსი ფიქრობდა, რომ მრჩეველი თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, რათა თავისი შეხედულებანი თავისუფლად და შეუზღუდავად გადმოეცა, რისთვისაც სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე უარი უნდა ეთქვა; თემისტოსს კი პირიქით მიაჩნდა; მისი აზრით, ორატორს საკუთარ შეხედულებათა ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებაზე უნდა ეზრუნა, ანუ, თუ ამის შესაძლებლობა მიეცე-

² შდრ. პავლე მოციქულის ეპისტოლეს „ეფესელთა მიმართ“ VI,17, სადაც სიტყვას „მახული სულისაჲ“ ეწოდება.

მოდა, აუცილებლად უნდა შესულიყო სახელმწიფო სამსახურში. ამავე აზრისა იყო იგი ფილოსოფიაზეც და თვლიდა, რომ მას თავისი თავი აუდიტორიაში კი არ უნდა დაემარხა, არამედ თავისი მოძღვრების ცხოვრებაში გატანითა და დანერგვით წვლილი მის გაუმჯობესებაში უნდა შეეტანა. ამით ხსნის თანხმობას, რომელიც კონსტანტინეპოლის პრეფექტის თანამდებობის მიღებაზე განაცხადა სიტყვაში „ძალაუფლების შესახებ“, ეს სიტყვა მან იმათ საპასუხოდ დაწერა, რომელნიც იმის გამო საყვედურობდნენ, რომ ფილოსოფოსი და ორატორი დედაქალაქის პრეფექტობაზე დათანხმდა.

სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად, თემისტოსი არა თუ უარს ამბობდა თავის შესხედულებებზე, არამედ ცდილობდა თანმიმდევრულად დაეცვა და განეხორციელებინა ისინი. მაგალითად, სწამდა რა, რომ ადამიანს უფლება აქვს თავად აირჩიოს რელიგიური აღმსარებლობა, იმპერატორ ვალენტის, რომელიც არიოზის მიმდევარი იყო და მართლმადიდებლებს სდევნიდა, მისდამი მიძღვნილ სიტყვაში განუმარტავს, თუ რა უგუნურებაა მცდელობა იმისა, რომ ყველა ადამიანი, საწინააღმდეგოდ საკუთარი ნებისა, ერთი და იმავე სარწმუნოების მიმდევარი გახდეს და, რომ ბრძენია ის ხელმწიფე, რომელიც ქვეშევრდომებს სარწმუნოების არჩევაში თავისუფლებას აძლევს. „არის რაღაც ისეთი, – წერს იგი, – რომლის მიღებაც, თუ კი იგი არ უნდათ, ადამიანებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაძალოთ. ღვთაება არავის ართმევს თავისუფლებას, ისარგებლოს თავისი გონებით“.

ვფიქრობთ, აქ აშკარად იგრძნობა ზეგავლენა ქრისტიანული სწავლებისა ადამიანის თავისუფალ ნებაზე. მაცხოვარი თავის მოწაფეებს არა თუ მისი მოძღვრების ძალის გამოყენებით გავრცელებას, არამედ ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც, გვიკრძალავს, როცა მოწაფეებს გვეუბნება: **უკეთუ არავინ შეგინყნარნეს თქუნ და არცა ისმინნეს**

სიტყუანი თქუნნი, გამო-რაჲ-ხუდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერკთა თქუნთაჲ (მთ. X, 14). მაშასადამე, მაცხოვარს სარწმუნოების გავრცელებისთვის არა მხოლოდ ფიზიკური ძალდატანება, არამედ ერთისა და იმავეს რამდენჯერმე დაჟინებით გამეორებაც გაუმართლებელ საშუალებად მიაჩნია, რადგან ეს უკვე ფსიქიკაზე ძალდატანებას გულისხმობს, რაც ფიზიკურ დევნასა და შევიწროვებაზე ბევრად უარესია.

მიუხედავად იმისა, რომ თემისტოისის სიტყვებს აკლიათ ის პოეტური პათოსი, ცოცხალი შედარებანი და უშუალო ფსიქოლოგიზმი, რომელნიც ლიბანიოსის სიტყვებს გამოარჩევენ, იგი მაინც სამართლიანად ითვლებოდა შესანიშნავ სტილისტად, თუმცა მისი სტილი, როგორც ამას მკვლევარები აღნიშნავენ, რთული კონსტრუქციების წინადადებათა და აბსტრაქტულ მცნებათა გამოყენების გამო შედარებით უფრო მძიმეა, ვიდრე ლიბანიოსისა.³ ალბათ სტილის გამო უწოდა გრიგოლ ნაზიანზელმა თემისტოისს „სიტყვის მეფე“ (basileu~ twñ logwn).

ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის ფასდაუდებელ ცნობას იძლევა თემისტოისის XXVII სიტყვა, რომლის ადრესატიც ვინმე პროვინციელი ახალგაზრდაა. მას იმ დროისათვის გამოჩენილი ფილოსოფოსისა და ორატორისათვის დახმარება უთხოვია, რათა თავი დაეღწია პროვინციისათვის და ჭეშმარიტი განათლება სატახტო ქალაქში მიეღო. პასუხად თემისტოისი ახალგაზრდა კაცს განუმარტავს, რომ განათლების მაღალ დონეს ქმნის არა ადგილი, არამედ დახელოვნებული მასწავლებელი. ამ შეხედულების დასასაბუთებლად იგი უწინარესად მაგალითებს ანტიკური მწერლობიდან, კერძოდ, ჰომეროსის პოემებიდან იმონებებს და ადრესატს შეახსენებს, რომ გონიერებით განთქმულმა ოდისევსმა განათლება კუნძულ ითაკაზე მიიღო, ხოლო

³ Аверинцев С. С. Византийская литература IV-VII вв. წიგნში История византии, т. I, М., 1967, გვ. 415.

აქველთა ლაშქარში სიბრძნით ყველაზე აღმატებულმა ნესტორმა – პილოსში, მაშინ, როცა იმდროინდელი ბერძნული სამყაროს კულტურის ცენტრებს არც ითაკა და არც პილოსი არ წარმოადგენდა. ამის შემდეგ, იმავე თვალსაზრისის დასადასტურებლად, რომ განათლების მიღებასა და მეცნიერებათა შესწავლას დედაქალაქი არ სჭირდება, მაგალითი საკუთარი ცხოვრებიდანაც მოყავს და წერს: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოვნყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილს, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია. არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, – რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, – და ცამ იგი აღიტაცა, იქ, სადაც [ცნობილია] თერმოდონტი, ამადონთ [საომარი] საქმეები და თემისკვირი და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლთ სროლას ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესების მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ახლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადანყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც [ფილოსოფიის] საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“.⁴

⁴ გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 50-51. იხ. აგრეთვე, ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ის-

თემისტოქოსის 27-ე სიტყვის ზემომოყვანილ ნაწილს ყურადღება ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია და გამოიყენა კიდევაც როგორც წყარო თავის „ქართველი ერის ისტორიაში“, მაგრამ საგანგებოდ იგი ს. ყაუხჩიშვილმა შეისწავლა, რომელმაც ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით „გეორგიკის“ პირველ ტომში გამოაქვეყნა.

იმაზე, თუ სახელდობრ სად მდებარეობდა ის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, რომელშიც განათლება ევგენიოსმა და მისმა ვაჟმა თემისტოქოსმა მიიღეს, გარდა გეოგრაფიული ტოპონიმებისა, ბერძნული მითოლოგიიდან და პოეზიიდან მოხმობილი ფაქტებიც მეტყველებს. ეს იყო კოლხეთი, სადაც მდებარეობდა ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთი), იქ, სადაც მდინარე ფაზისი (იგივე რიონი) შავ ზღვას უერთდება. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს არგონავტების მითის მოხსენიება, რომლის საშუალებითაც ავტორი ერთგვარად აზუსტებს იმ ადგილს, სადაც სკოლა მდებარეობდა. თესალიიდან წამოსულმა არგომ სწორედ ფაზისში – ფოთში დაისადგურა, საიდანაც არგონავტები მდინარე რიონს აღმა აუყვნენ, რათა კოლხეთის მეფის, აიეტის დედაქალაქ კვიტაიაში მისულიყვნენ.

დასავლეთევროპულ ბიზანტინისტიკაში იყო მცდელობა იმის მტკიცებისა, რომ რიტორიკული სკოლა, რომელზეც თემისტოქოსი საუბრობს, სინოპში მდებარეობდა,⁵ მაგრამ როგორც ს. ყაუხჩიშვილი წერს: „თვით თემისტოქოსის განსაზღვრა ამ ქალაქისა *plhsion Fasido~* (ფაზისის მახლობლად) და მის მიერ დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან შეუძლებელს ხდის აქ სინოპი ვიგულისხმოთ.⁶ ამ სა-

ტორია, თბ., 1973, გვ. 85-86.

⁵ Otto Seeck, Briefe de Libanios, 292.

⁶ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური.... გვ. 86.

კითხზე იგივე აზრი ჰქონდათ დასავლელ მეცნიერებს ქრისტე-შმიდ-შტელინსა და ფ. ვილჰელმს.⁷

მაშასადამე, კოლხეთში მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა (იქ შეუძენია „თავისი განთქმული ფილოსოფია“ თემისტოისის მამას, ევგენიოსს), რომელიც, როგორც ჩანს, ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ თვით ფილოსოფოსებისა და ორატორების ქვეყნიდან – საბერძნეთიდანაც კი მოდიოდნენ აქ ახალგაზრდები ფილოსოფიისა და რიტორიკული ხელოვნების შესასწავლად. ამრიგად, მე-4 საუკუნის კოლხეთი მაღალი კულტურის ქვეყანა ყოფილა, მეცნიერებისა და ხელოვნების საკუთარი ცენტრით; სწორედ ამგვარ ცენტრს გულისხმობს თემისტოისის ტერმინი „მუზების ტაძარი“. მართალია, ორატორი კოლხების ქვეყანას „ბარბაროსულსა და პირქუშს“ უწოდებს, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი ასეთი მანამდე ყოფილა, ვიდრე „ერთი კაცის სიბრძნისა და სათნოების“ წყალობით, „მუზების ტაძრად“ გადაიქცეოდა და, მეორეც, როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილს აქვს შენიშნული, თემისტოისი ამ შემთხვევაში ანტიმუზების რიტორიკულ ხერხს მიმართავს, ანუ „წყნარსა და ელინურს“ (ἐν ἡμέρω/ και; Ἐλληνι) „ბარბაროსული და პირქუში“ (barbaron kai; ἀπῆμεραν) უპირისპირდება. ესეც არ იყოს, ბერძნისათვის ყველა არაბერძნული ქვეყანა, ჩვეულებრივ, ბარბაროსული იყო.

აღსანიშნავია, რომ თემისტოისი კოლხეთში განათლების მისაღებად მამამ, მისმა ყველაზე ახლობელმა და, როგორც თვითონ უწოდებს, „კეთილმოსურნე“ ადამიანმა გაგზავნა, თანაც „მართებულად მოაზროვნემ“ ანუ ფილოსოფოსმა, რაც იმის საწინდარია, რომ იგი შვილისთვის სასწავლებლის შერჩევასაც შეცდომას არ დაუშვებდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფაზისის რიტორიკულ სკოლაში ფი-

⁷ F. Wilhelm, zu Themistios Or. Byz. Neugr. Lehrbucher VI (1927-1928), 451-489.

ლოსოფიური განათლება ევგენიოსსაც მიუღია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სკოლა მე-3 საუკუნის მინურულში უკვე არსებობდა, ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სკოლას ბერძენთა მოსაზიდი ავტორიტეტისა და სახელის მოსაპოვებლად წლები დასჭირდებოდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი III საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დაეარსებინათ.⁸

დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ეროვნებით ვინ იყო ის ერთი კაცი, რომლის „სიბრძნემ და სათნოებამ“ ეს ადგილი მუზეუმის ცენტრად აქცია – ბერძენი თუ ქართველი. მთავარი ისაა, რომ ეს სკოლა კოლხეთში მდებარეობდა და რომ მისი მოწაფენი ბერძენებთან ერთად აუცილებლად კოლხებიც იქნებოდნენ.

საბედნიეროდ, ბიზანტიელი ისტორიკოსების – აგათია სქოლასტიკოსისა და პროკოპი კესარიელის წყალობით, რიტორიკულ ხელოვნებაში განსწავლულ კოლხთა არსებობა ვარაუდის დონეზე არ დარჩა. პროკოპი კესარიელმა შემოგვინახა პოლიტიკური სიტყვები, რომელიც ლაზთა ელჩებმა წარმოთქვეს სპარსეთის მეფის ხოსროს წინაშე⁹ და მასზე დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინეს. რაც შეეხება აგათიას, მას უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული ლაზთა როგორც პოლიტიკური სიტყვები, წარმოთქმული კოლხეთის მეფის გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით, ასევე საბრალდებო სიტყვებიც, რომლებიც კოლხებმა კონსტანტინეპოლის სასამართლოში გუბაზის მკვლელთა წინააღმდეგ წარმოთქვეს.

554 წელს დასავლეთ საქართველოში ჩაყენებული ბიზანტიის იმპერიის ჯარის სარდლებმა, სპარსელებთან ბრძოლაში გამოჩენილი საკუთარი უნიჭობისა და უნიათობის დასაფარავად, ვერაგულად მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი, რამაც, ბუნებრივია, კოლხების დიდი აღშფოთე-

⁸ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია.

⁹ გეორგიკა, ტ. III.

ბა გამოიწვია. აღელვებული ქართველობა, ამ ამბების თანამედროვე მეისტორიის, აგათია სქოლასტიკოსის აღწერით, გადანყვეტილების მისაღებად კავკასიის ერთ ხეობაში შეიკრიბა. კრებაზე აშკარად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური მიმართულება, რომელთაგან პირველის დამცველები შურისსაძიებლად ბიზანტიასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტას, სპარსელებთან დამეგობრებას და ქვეყანაში ბიზანტიელთა წინააღმდეგ მათი ჯარის შემოყვანას მოითხოვდნენ, ხოლო მეორენი ქვეყნის მომავალი ბედის განსაზღვრაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სარწმუნეობას ანიჭებდნენ და ერთმორწმუნე ბიზანტიასთან ურთიერთობის განწყვეტა, სარწმუნოებრივად დაპირისპირებული სპარსეთის მხარდაჭერის იმედით, უგუნურებად მიაჩნდათ. ამასთან, ისინი თვლიდნენ, რომ ქრისტიანული იმპერიის წინააღმდეგ ურჯულო სპარსელებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ღმრთისაგან განდგომასაც მოასწავებდა. ისიც საკითხავი იყო: მართლა გაუწევდა თუ არა კოლხეთს მეგობრობას სპარსეთი, თუ, პირიქით, მის დაპყრობასა და გადაგვარებას შეეცდებოდა.

კრებაზე პირველი ორიენტაციის დასაცავი სიტყვა ვინმე ორატორს – აიეტს წარმოუთქვამს, ხოლო მეორისა – ფარტაზს.

თავმოყვარეობაშელახული კოლხების კიდევ უფრო ასაღელვებელად, რაც გონივრული გადანყვეტილების მისაღებად, თავისთავად ცხადია, მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებოდა, აიეტმა კლასიკური მჭევრმეტყველების ხერხები გამოიყენა, სახელდობრ, მან კერძო შემთხვევა განაზოგადა და საერთოდ მთელი ბერძენი ერი, იმპერატორიდან მოყოლებული უკანასკნელ მდაბიორამდე, ვერაგად, ამპარტავნებით შეპყრობილად და ლალატისმოყვარედ გამოაცხადა, ხოლო სპარსელები საპირისპირო თვისებებით შემკულ ხალხად წარმოადგინა, თუმცა ამ უკანასკნელი შეხედულების დასასაბუთებლად არცერთი შემთხვევა თუ

ფაქტი არ მოუყვანია. მისი ზეპირი განცხადებები სპარსელების კეთილშობილურსა და რაინდულ ბუნებაზე მსმენელთა დიდი ნაწილის უვიცობისა და საქმეში ჩაუხედავობის იმედით იყო წარმოთქმული. როგორც ჩანს, მას ისიც გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ღირსებაშელახული და შურისიების წყურვილით ანთებული ხალხი მისგან ამ საბუთებს არ მოითხოვდა და ასეც მოხდა.

ქართველობის ემოციურმა დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, როცა მას აიეტმა გუბაზის აჩრდილი წარმოუდგინა, რომელიც თავისიანებისაგან მკვლევლებზე შურისძიებას მოითხოვდა: „ვინაიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე, ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეთ თქვენ თავის ქრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თვისტომთ სთხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო“.¹⁰

აიეტმა მიზანს მიაღწია. კოლხებმა მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება ბიზანტიის წინააღმდეგ სპარსელთა მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ, საბედნიეროდ, დამცველი მეორე მიმართულებასაც გამოუჩნდა. მეორე ორატორის, ფარტაზის სიტყვა თვალნათლივ წარმოადგენს მჭევრმეტყველების ძალას, რომლის წყალობითაც მან უწინარესად მსმენელთა ემოციებით ამღვრეული გონების დაწმენდა-დამშვიდებას შეუწყო ხელი, განუმარტა რა, რომ „მოხერხებულად და წარმტაცად“ წარმოთქმული სიტყვა გონებას არყევს და თითქმის ყველას ამარცხებს, განსკუთრებით კი მათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია.

როცა ფარტაზმა იგრძნო, რომ ხალხს რეალობის აღსაქმელად გონების თვალი დაენმინდა, მხოლოდ მაშინ შეახსენა მთავარი: სპარსელების

¹⁰ გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936, გვ. 69.

მხარეზე გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, უზენაესისა და მისი რწმენის ღალატს ნიშნავდა.

აიეტის სიტყვის კულმინაციურ ნაწილს, რომელშიც მან ქართველობას შურისძიების მთხოვნელი მეფე წარმოუდგინა, ფარტაზმა ღირსების გრძნობა დაუპირისპირა, რაც ღირსეული ხალხის ღირსეულ მეფეს საშუალებას არ მისცემდა თავისი თავი მთხოვნელის მდგომარეობაში ჩაეყენებინა: „ნურავინ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობებს უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ღაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს“.¹¹

უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს ფარტაზის მიერ ობიექტური და გონივრული ანალიზი როგორც საკუთარი ქვეყნის ძალებისა, ისე შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა. რა თქმა უნდა, მას მშვენივრად ესმის, რომ ბიზანტიელთა ჯარის დგომა კოლხეთში მასზე იმპერიის პოლიტიკურ ზეგავლენას მოასწავებს, მაგრამ იმასაც კარგად ხედავს, რომ ეს ჯარი მის ქვეყანას დარაჯობს და მრავალნაირ ხიფათში ვარდება, რათა კოლხებს მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდეთ. განა მათი საერთო მტრის – სპარსელების მხარეზე გადასვლა მათი გაცემა არ იქნებოდა? ამასთან, ერთმორწმუნეობის გამო კოლხები, როგორც ამას ფარტაზი აღნიშნავს, „მშვენივრად შეეგუენ მთელ სახელმწიფო წყობილებას“ ბიზანტიის იმპერიისა.¹²

ცხადია, ფარტაზის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, საპირისპიროდ შეურაცხმყოფელთათვის სამაგიეროს მიგებისაკენ ემოციური, ფსევდო-პატრიოტული მოწოდებებისა, სრულიად არა პოპულარული და არა

¹¹ გეორგიკა, ტ. III, გვ. 79.

¹² იქვე, გვ. 76.

მომგებიანი იყო და მისი გამოხატვა დიდ გაბედულებასაც მოითხოვდა, მაგრამ სამშობლოს წრფელმა სიყვარულმა და ზრუნვამ მის მომავალ ბედ-იღბალზე ორატორს ეს გაბედულებაც მისცა.

საბედნიეროდ, კოლხებს სიბრძნე და გონიერება ეყოთ იმისათვის, რომ ფარტაზის სიტყვის ჭეშმარიტება ერწმუნათ და სპარსელთა მხარეზე გადასვლის ნაცვლად ბიზანტიის იმპერატორთან ელჩების წარგზავნის გადაწყვეტილება მიეღოთ გუბაზის მკვლელთა სიკვდილით დასჯის მოთხოვნით.

აგათია სქოლასტიკოსმა, რომელიც დიდ პატივისცემას აღძრავს მოვლენების ობიექტური აღწერითა და გადმოცემით, კოლხების საბრალმდებლო სიტყვაც შემოგვინახა, რომელიც მათ კონსტანტინეპოლში გამართულ სამსჯავროზე წარმოთქვეს,¹³ ამ სიტყვების დაწვრილებით ანალიზს აქ არ შევუდგებით, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ კოლხმა ორატორებმა გუბაზის მკვლელობის შესახებ დამნაშავეთა მხილება შეძლეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს: იმპერატორმა იუსტინიანემ კოლხეთის მეფის მკვლელი ბიზანტიელი სარდლები სიკვდილით დასაჯა.

ასე რომ, ერთი კაცის გონიერებისა და სამშობლოს სიყვარულის წყალობით, ქართველებმა შელახული თავმოყვარეობა ისე აღიდგინეს, რომ ქვეყანა ისტორიულ მტრებს – სპარსელებს სათარეშოდ და ასაოხრებლად არ მისცეს.

ანტიკური ეპოქის ბერძნულ რიტორიკაში მისი სამი სახე განირჩეოდა: geno- sumbouleutikon (სათათბირო-პოლიტიკური), geno- dikanikon (სამოსამართლო) და geno- panegurikon (საზეიმო). ძველ ქართულ მწერლობაში (იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე) რიტორიკის ზემოხსენებული სამივე სახის არსებობაა დადასტურებული: 1. თანამზრახველობისა, რომელიც იგივეობრივია ბერძნულის სათათბირო-პოლიტიკურისა; 2.

¹³ იქვე, გვ. 129-141.

მეპაექრობისა (ბერძნულში სამოსამართლო) და 3. დღესასწაულობისა. ამათგან ჩვენ აგათია სქოლასტიკოსმა ქართული მჭევრმეტყველების სათათბირო-პოლიტიკური (ძველ ქართულში-თანამზრახველობისა) და სამოსამართლო (ძვ. ქართულში-მეპაექრობისა) სიტყვათა ბრწყინვალე ნიმუშები შემოგვინახა.

როგორც სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, კოლხების სახალხო კრებაზე აიეტიისა და ფარტაზის მიერ წარმოთქმული სათათბირო-პოლიტიკური სიტყვები ბერძენ მზვერავებს უნდა ჩაენერათ, რომელნიც ამავე დროს „მალემწერლებიც“ ანუ სტენოგრაფისტებიც იქნებოდნენ (ცნობილია, რომ სტენოგრაფიას ძველ საბერძნეთსა და რომში ჩაეყარა საფუძველი და განვითარების მაღალ დონესაც მიაღწია. სწრაფად ჩამწერთა აღსანიშნავად სპეციალური ტერმინებიც არსებობდა: *shmiografio*~, *tacugrafio*~ და *oixugrafio*~, რომელთაც ძველ ქართულში „სიმიათა მწერალი“ და „მალემწერალი“ შეესატყვისებოდა. რაც შეეხება კოლხი ორატორების მიერ გუბაზ მეფის მკვლელების სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ სამოსამართლო (მეპაექრობის) სიტყვებს, აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, პროცესს ესწრებოდნენ „კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა“.¹⁴

როგორც სიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რამდენადაც სტენოგრაფიულად ჩანერილი სიტყვები „სახელმწიფო არქივში ინახებოდა, აგათიაც, როგორც კარის ისტორიკოსი, თავისი „ისტორიის“ წერის დროს სახელმწიფო არქივში დაცული მასალებით ისარგებლებდა“.

ზემოხსენებული კოლხი ორატორების გასაოცრად დახვეწილი მჭევრმეტყველება უეჭველს ხდის თემისტოქოსის ცნობას ფაზისის რიტორიკულ სკოლაში სწავლების მაღალ დონესა და, აქედან გამომდინარე, მის დიდ ავტორიტეტზე მთელ იმდროინდელ კულტურულ სამყაროში. ასევე სავა-

¹⁴ იქვე, გვ. 56.

რაუდოა, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნება, რომლითაც ბაკურმა თვით
ლიბანიოსის პატივისცემაც კი დაიმსახურა, მას სწორედ კოლხეთის რი-
ტორიკულ სკოლაში ჰქონდა შესწავლილი.